ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2765076

ნომერი: AR1420557

თარიღი : 07.07.2016

გაცემის თარიღი : 08.08.2016

გაცნობის თარიღი : 09.08.2016

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ლესელიძის ქ 27, ანტონ კათალიკოსის 15 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი შელია პ/ნ 01017005224
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ორგანიზაცია:

- შპს შევარდენი კოდი: 204381640

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 13/07/2016 წლის # AR1420557 განცხადება ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კოტე აფხაზის N27/ ანტონ კათალიკოსის ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

ვინაიდან თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში თქვენ მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია; მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი #66-ის პუნქტი #6-ის და მუხლი #17-ის პუნქტი #2-ის შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კოტე აფხაზის N27/ ანტონ კათალიკოსის ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ დროებითი საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით 2016 წლის 10 ოქტომბრამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.